7169

სახელმწიფო გამომცემლობა

პოლიგრაფ. გაბუ. 8ᲒᲐ-3 ᲮᲢᲝᲜᲬ.

ნაკადული

წელიწადი მე-XIX. № 5 მაისი, 1923 წ.



კარლოს მარქსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

347

საქართველოს სსრ
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

1. სურათი 1
2. პირველი მაისი,—ლექსი გ. ქუჩიშვილისა 3
3. მუშათა დღესასწაული,—სტანლეისა 4
4. 1 მაისი,—ცქვიტისა 10
5. გაზაფხულის ყვავილი,—ლექსი ი, მჭედლიშვილისა . 15
6. მაისის ზეიმი,—ცქვიტისა 16
7. ვანო და პირველი მაისი ქალაქში,—ლეო ქიაჩელისა . 19
8. დილა,—ლექსი მიმქრალისა 28
9. საზეიმო თვე,—ნინო ნაკაშიძისა 29
10. გასართობი: 32

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მაისი.

დღეს პირველი მაისია
და პირველი გაზაფხული;
წითელ-წითელ ყვავილებით
მორთული და მოკაზმული.

დღეს უქმეა, დიდი უქმე,
ბრწყინვალე და დიდებული;
მოდის ხალხი, მოიმღერის
ერთ დროშის ქვეშ დარაზმული.

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს პირველ მაისს,
გაუმარჯოს მის სამკაულს,
გაუმარჯოს ძლევამოსილს
შრომის დიად დღესასწაულს!

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მუშათა დღესასწაული.

ჩემო პატარა მეგობრებო!

პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ თქვენ ბევრი რამ გაგიგონიათ, გინახავთ კიდეც ტფილისში, ქუთაისში, ბათომში, როცა მთელი ქუჩები და ვეებერთელა სახლები წითელი ბაირაღებით და ნოხებით იყო მორთული.

ეოველი თქვენგანი, მეტადრე მუშის და გლეხის შვილი ალბად ბევრჯერ ჩაჰკვირვებია ამ სანახაობას, უკითხავს თავის მშობლების ან აღმზდელებისათვის, მაგრამ სწორად გარკვეული პასუხი არ მიუღია.

რა არის მუშათა დღესასწაული? რათ ეწოდება 1-ლი მაისი, ან რად დღესასწაულობენ მას მხოლოდ მუშები, ან ის სახელმწიფო, სადაც მუშათა ხელიხუფლებაა გაბატონებული?

ალბად თქვენ არა ერთხელ გაგიგონიათ, რომ ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს მდიდარი და ღარიბი, დიდი ფულიანი ადამიანი და სრულიად უფულო, ეოველ ქონებას მოკლებული, პროლეტარი.

მდიდრები ისეთი სალხია, რომელთაც სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა და სხვა ფუფუნების საგნები თავსაყარი აქვთ.

მდიდრები—ეს ქარხნის, ფაბრიკის, დიდი სავაჭროების და მამულების მესაკუთრეებია.

მდიდრები ფულიანი სალხია, ისინი დიდი ფულის ან კაპიტალის პატრონებია და ამიტომაც მათ ემახიან კაპიტალისტებს ან ბურჟუაზიას, ე. ი. ადამიანთა ისეთ საზოგადოებას. რომელთა ხელშია უმთავრესად ფაბრიკა, ქარხნები, მიწები, მადნები, მაღაროები, რკინის გზები და მსხვილი სავაჭროები.

მდიდრებს, რასაკვირველია, თავიანთ ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროებისა და მადნების დასამუშავებლად სჭირიათ საშუალებები.

უმთავრესი ამ საშუალებათაგანი, რომლის მეოხებითაც კაპიტალისტები თავის საქმეს აკეთებენ, არის ცოცხალი ძალა, ან მუშა-ხელი, ე. ი. მუშები, რომლებსაც არა გააჩნიათ რა, გარდა თავისი სამუშაო ხელებისა.

მუშებს ან პროლეტარებს არაფერი გააჩნიათ გარდა თავის ძალ-ღონისა და სიმშილს რომ თავი დააღწიონ, ისინი იძულებული არიან მიექირაონ კაპიტალისტს ფაბრიკა ქარხანაში სამუშაოდ, ან როგორც იტყვიან, იძულებული ხდებიან გაყიდონ თავის სამუშაო ძალა.

როცა კაპიტალისტი მუშას ქირაობს, ამას ის ხჩადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა იმიტომ რომ მუშას შია, გაჭირვებაშია, არამედ მას მუშისგან გამორჩენა, მოგება უნდა.

მუშის იაფად დაქირავებით, მუშის მცირე ხელფასით კაპიტალისტი სარგებლობს, არ აძლევს მუშას იმდენს, რამდენიც ეყოფა მას ოჯახის სარჩენად, პირიქით სჩაგრავს მუშას, ღალავს და ქანცავს მას, მარტოოდენ საყოფი პურითაც კი არ აკმაყოფილებს.

აი, მუშით ასე სარგებლობას ჰქვია მუშის გაუვლეფა და მუშის ზურგზე კაპიტალისტის გამდიდრება.

ამგვარად კაპიტალისტი ყველა სახელმწიფოში, როგორც საფრანგეთში, ინგლისში, გერმანეთში, იტალიაში, ესპანეთში, ამერიკაში და სხ. მუშას ქირაობს სრულიად მცირე ხელფასით და მას ნახევრად მშიერს სტოვებს. თვითონ კი ამავე დროს თავის ცოლ-შვილით ნაირ-ნაირ საჭმელებით და ტკბილეულობით გამამღარი, ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი ხშირად ესტუმრება ავტომობილით თეატრებს, კლუბებს და ცირკებს.

მთელი დღის მძიმე მუშაობის შემდეგ მუშა სრულიად მოწყვეტილი, დაქანცული, თვალებ-ჩაცვეცილი და გაუვითლებული საღამოს 8—9 საათზე ჯიბე ცარიელი, თავჩაქინდრული, სიმშილისაგან ატირებულ ცოლშვილთან მიეშურება.

აი ასეთი განსხვავება იყო და არის ყველა ქალაქებსა და სახელმწიფოებში მუშებსა და მდიდრებს შორის.

უფრო განათლებულ ქვეყნების მუშებმა ვერ მოითმინეს ბურჟუა-კაპიტალისტების ასეთი თავგასულობა—მუშების დაჩაგვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა 1859 წელს საერთოდ საფრანგეთსა, გერმანეთსა და ინგლისში დიდი სიღარიბე ჩამოვარდა, მუშებმა გადასვეს ასეთი მდგომარეობით ესარგებლათ.

ეველა ქალაქის მუშათა უბნებში დაიწყო მოძრაობა— მღელვარება, ჯამაგირის გადიდების შესახებ ლაპარაკი-მსჯელობა, კრებების გამართვა.

1862 წელს მსოფლიო გამოფენაზე ერთმანეთს შეხვდენ საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა წარმომადგენლები ე. ეველაზე უფრო მომზადებული და მოწინავე მუშები.

5 აგვისტოს 1862 წ. მოხდა საფრანგეთის მუშათა 70 დელეგატის საზეიმო მიღება ინგლისის მუშების მიერ. აქ წარმოთქმულ სიტყვებში გატარებული იყო ის აზრი, რომ საჭიროა საერთო მუშების კავშირის დაარსება ისეთებისგან, რომელთაც ერთნაირი მისწრაფებანი აქვთ, როგორც მშრომელებს, მუშებს, რათა ბრძოლა გამოუცხადონ კაპიტალისტებს მუშების საბოლოოდ გასათავისუფლებლად.

1863 წელსაც შეხვდენ ინგლისში ერთმანეთს ფრანგი და ინგლისელი მუშები და ინგლისელებმა წინადადება მისცეს ფრანგ და გერმანელ ამხანაგებს დაჩქარებით დაეარსებიათ საერთო მუშათა კავშირი.

1864 წელს, სექტემბერში, საფრანგეთის მუშები ჩამოვიდენ ინგლისში. ინგლისელმა ამხანაგებმა დიდი მიტინგი— კრება გამართეს სენტ-მარტინს-ხოლეში (ე ი. წმ. მარტინეს დარბაზში) ბროფ. ბისლის თავმჯდომარეობით. ამ მიტინგზე გაილაშქრეს კაპიტალისტების წინააღმდეგ და მოითხოვდენ მათთან საბრძოლველა საერთო კავშირის დაარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებას. კავშირის დაარსება ყველას მიერ ერთხმად მიღებულ იქნა და ლონდონში დაარსდა პირველი მუშათა საერთაშორისო კავშირი 1864 წელს 21 კაცისგან შემდგარი.

კავშირში შევიდენ ინგლისის მუშათა კლასის მაშინდელი ბელადები—ოჯერი, ოუელისი, ოსბორნი და ლოკრაფტისი; საფრანგეთიდან—ნენუალი, ლელიუბეზი, ბოსკე; იტალიიდან—ფონტანა და ვოლფი.

უკანასკნელ რიგში ისხდენ გერმანეთის წარმომადგენელნი, რომელთა შორისაც იყო მაშინდელი რევოლიუციონერი, დიდი თმიანი, ენერგიული სახის, მკვირცხლი, ძორს მჭვრეტელი თვალებიანი და ზორბა კაცი—კარლოს მარქსი.

კარლოს მარქსი გამოჩენილ მაშინდელ რევოლიუციონერ ეგკარიუსთან ერთად ითვლებოდა გერმანეთის მუშების წარმომადგენლად.

ამ გვარად 1864 წელში 28 ენკენისთვეს 21 კაცისგან დაარსდა ქ. ლონდონში კ. მარქსის მეთაურობით პირველი მუშათა საერთაშორისო კავშირი, რომელიც დღემდი მუშათა მოძრაობის თვალის ამხელი და მათი წინამძღოლია.

რადგან ენკენისთვე შემოდგომის თვეა, როცა ყოველივე ჰკარგავს თავის ნამდვილ ელფერს—ბუნება ზამთრისკენ იხრება, ხეებს ფოთლები სცვივა, ყველაფერს სახე ჩამოსტირის და მოწყენილ-დაღვრემილია, ამიტომ ამ კავშირის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს, ეს ფრიად დიდი დღის დღესასწაული, მუშის გულის გამხარებელი, მომავალში მისი განმათავისუფლებელი ედღესასწაულათ გაზაფხულზე, როცა ბუნება იცინის, ველ-მინდორი ათასფერი ყვავილით იქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გება და ტუე მწვანით იმოსება, როცა მუშები და ქალაქის ღარიბ-ღატაკნი მოქათქათე მზის სხივებს შეჰხარიან, როცა გლეხი—ბუნების შვილი—მინდორ-ველად საძუშევრად გამოსული სტკბება ევავილების ათასნაირ სუნელებით, როცა ადამიანის სმენას ატკბობს თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებულ ფრთოსანთა ჭიკ-ჭიკ-გალობა, როცა ჰატარა ბავშები მინდორში ლაშაზ ჰეჰელებს ქუდით დასაჭერად დასდევენ...

აი, ასეთ დღეთ მიჩნეულ იქნა 1 მაისი.

ასე იყო მუშათა დღესასწაულის, 1 მაისის დაარსება.

უკვე 59 წელიწადია, რაც 1 მაისს დღესასწაულობს ყოველ წელს ყველა სახელმწიფოს მუშათა კავშირები მუშების, გლეხებისა და საერთოდ შრომის შვილების საბოლოო გასათავისუფლებლად მევლეფელ და მუშის მჩაგვრელ კაპიტალისტებისგან.

სტანლეი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

ოდიან, მოდიან... არც თავი უჩანს, და არც ბოლო... ჰაერში მუსიკისა და ხალხის შედუღებული ხმა ისმის... მთელი ქვეყნის ეაეაჩოები ერთად შეგროვილან და ჰაერში სისხლის ფერად ფრიალობენ. ქვეყანაზე თითქოს სამი ფერი ღა დარჩენილიეოს: ზემოდ ლურჯი ცა, შემდეგ—წითელი და ძირს—ხალხის შავი, მოძრავი ზოლი..

მოდის მძიმედ ხალხი, წითელი ზოლი ბაირაღებისა თან მოაქვს და ცის ლურჯ კაბადონზე რაღაც სახეებს ხატავს.

უკან გრგვინვა-ქუხილივით ავტომობილთა გუგუნი ისმის და ახლა მთელი ქარავანი მწვანით მოქარგულ ავტომობილებისა კვალდაკვალ მოცურავს, თან მოჰყვება ხალხს.

— გაუმარჯოს მუშათა დღეს, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!—ისმის ტროტუარის ერთი ადგილიდან შეგროვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხალხის ხმა და უცებ მაღლა ხელების ტეე აღიმართა, ისმის ტაშის ცემა და ხელთა სწრაფი მოძრაობა. ტაშისა და ხალხის ხმა მოდებულ ალივით ქეორე ადგილს ეფინება, მეორედან მესამე ადგილს, და ქუჩის ორივე მხარეს ხალხი ღელავს, ხალხი ხმაურობს, ტაშით აცილებს მძიმედ, დარბაისლურად მიმავალ ქუშათა ზოლს. მიდის ზოლი, მიდის წინ, და ხალხის ხმაც თითქოს თან მიჰყვება.

მათი ტაშის ცემა და გუგუნი უკან, ქვაფენილზე დარჩენილ ხალხს ერუ გამოძახილად, ერუ გუგუნად მოესმის.

დღეს ხალხის ზეიმია! ნორჩი, გალაღებული ბუნებაც ირგვლივ ხალხთან ერთად ზეიმობს. მაგრამ შეხედეთ თვით ხალხს, იმ მოძრავ შავ ზოლს!.. თითქოს იგი მოქანცულია, დაღვრემილი. მათ სახეზე სევდის ჩრდილი კრთის... მძიმე ტვირთს, დიდი ხნის მონობას მათს შუბლსა და ღაწვებზე ღრმა ხნულები მოუხაზავს.

ისინი ჰგავან იმ მძიმე ავადმყოფებს, რომელნიც პირველ მზის მოალერსე სხივებზე გამოფენილან, მზის სხივებით იკურნებიან, მაგრამ მთელი ავადმყოფობის ტანჯვა სასეზე მკვეთრად აღბეჭდიათ; მზის სხივებზე თბებიან, იკურნებიან და თითქოს უფრო დუნდებიან, ითენთებიან: შავ ზოლს თითქოს შთაბეჭდილების გასაღრმავებლად თან მოაქვს ცოცხალი სურათი თავისი ცხოვრებისა.

აგერ უშველებელი ავტომობილი! სახელოსნოა ზედ გამართული; შუა ადგილას აღმართულ გრდემლზე ცეცხლი შხუილით გიზგიზებს; ჰაერში ისმის ფოლადის წკრიალი. მოპრიალე ურის ჰაერში აღმართავს მორგვის მსგავსი შერუ-

ჯული მსხვილი მკლავები, რომელთაც დაჭიმულნი ლიუბოვი მარღვები გველებივით შეჰფენია, თავი ძირსა აქვს დახრილი, მომარღვულ, მოღუშულ შუბლიდან ოფლი წვეთ-წვეთად სწვეთს მის ფეხთა წინ. ის ცეცხლს უცქერის, და მოელი არსება, ეოველი მისი მარღვი ცეცხლით არის შეპყრობილი, ცეცხლისაკენ მიეზიდება. მან წუთით უნდა ისარგებლოს, წითლად გავარვარებულ რკინას ძლევამოსილებით და მოხერხებულად ურო დროზე უნდა დაჰკრას, რომ რკინას ის სახე მისცეს, რაც საჭიროა და რაც მასა სურს.

ო, ო!!. მას ძლიერ უყვარს ცეცხლი! ის ცეცხლი, რომლის საშუალებითაც ეოველ ტლანქ, ჟანგიან რკინას სანთელივით არბილებს. ეს ცეცხლი მას ბევრჯერ თავის გულის ცეცხლს აგონებს, მაგრამ ის ცეცხლი სომ უფრო მწვავეა, შიგნით მომწყვდეული მისი ცეცხლი, რომელსაც არსაიდან გასავალი არა აქვს, და ამისათვის იგი მუდამ ჟამს, ეოველ წუთს ულმობლად უდაგავს შიგნეულობას, მაგრამ მან იცის, ის გრძნობს, რომ ცეცხლი გულისა დღითი-დღე ძლიერდება და ბოლოს ის ჟამიც დადგება, როცა იგი მთლად ცეცხლ-მოდებული იმ ცეცხლზევე გამოჭედილ მკვეთრ სიტევას ზარივით დააგუგუნებს, მის თვალებში მრისხანებით ელვის ისრები გამოკრთებიან და მაშინ.....

აგერ მეორე ავტომობილი... ალაგ-ალაგ ევითელი ღილები მზის სხივზე ოქროსავით ელვარებენ. ის ღილები რაღაც სქელ, ტლანქ არსებად ტანსაცმელზე უკერიათ ისინი თითქოს ხალხს კიდეც ჰგავან, მაგრამ არც ჰგავან. უკისროებს მორგვის მზგავსი თავები სქელ ბეჭ,ბზე დასწებებიათ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალების მაგივრად ეინული ცურავს მათ დასიებულ ქუთუ-
თოების ქვეშ; გულზე ჩინ-ორდენები მრავალნაირად აუვარ-
სკვლავებიათ, მათ წინ ხიშტების ტყეა აშართული. მათი ეი-
ნულის თვალები მხოლოდ ამ ტყეს სჭვრეტენ, დანარჩენთა-
თვის ბრმანი არიან. ხიშტებიანთა წინ მოცელილი ხალხი
ერია; ხალხი სისხლისგან დაცლილი, ხალხი სისხლის მო-
რეული მცურავი. პირქვე გაწართხულ ხალხთა შორის თმა
აბურძგვნილი წითელი ჯალათი წელში ბოროტად აშართუ-
ლა, ჭაერში სისხლიანი ცული შეუპრიალებია და მხოლოდ
ერთი წუთია საჭირო, რომ მის წინ ზვარაკად გამზადებული,
მკვეთრ-სიტყვიანი, ცეცხლ-აგზნებული მებრძოლები მოსპოს.

ამ სურათის დანახვაზე ტროტუარებზე მოზეიმე ხალხს
წუთიერი ღიმილი უცებ ტუჩზე შეეყინა... ეველა სევდის
ჩრდილმა მოიცვა და გაინაბა. აღარ ისმის ტაშის გრგვინ-
ვა... ძველმა ტკივილმა ტანს გაურბინა და გულში მწარედ
უჩხვლიტა. პროცესია კი მიცურავს წინ, აფერადებული ავ-
ტომობილი ავტომობილს მიჰყვება. იქ უკვე ნაზი, ნარნარი
სახეებია შეკონილ-შეზავებული. აგერ ლამაზი ქალის სახით,
ვარდ-ეკავილებით მორთული მაისი გამოჩნდა; მას ძლევა-
მოსილი თავისუფლება თან მოჰყვა, რომლის გვერდითაც
ზღვის ტალღასავით წითელი დროშა დინჯად ფრიალობს...
მაგრამ ხალხს სევდის ჩრდილი მაინც ვერ გაუკრთა... ალბად
ჯერ ფრიად ნორჩია პირშეკრული ძველი ჭრილობა, ალბად
ფრიად ნორჩია, რომ მოგონების ოდნავი სიოს შეხებაც კი
ასეთ ტკივილებს იწვევს ხალხის გულში. მაშ ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი მზიანი დღეა საჭირო, რომ იგი მთლად ჭაბიკურნოს.

პროცესია წინ მიცურავს. „გაუმარჯოს მუშათა დღეს, გაუმარჯოს პირველ მაისს!“ — შორით, მეორე ქუჩიდან მოისმის ხალხის ხმა და ტაშის გრიალი... ხოლო შავი ზოლი დინჯად მიდის და სარევოლიუციო სიმღერას მიიმღერის.

ცქვიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ყვავილი.

ერავალს მოვესწარ გაზაფხულს,
მრავალს ვარდსა და იასა,
მზისა ამოსვლას მადლიანს,
ბულბულის ტია-ტიასა.
მაგრამ წლევანდელ გაზაფხულს
რა შეედრება, რომელი?
ააყვავილა საამბობლოს
გულმკერდი, მუდამ მშრომელი!
წელს იმის ყვავილთ შორის ვსჭვრეტ
ერთ ყვავილს, სულ სხვანაირსა:
საამბობლოს თავისუფლება
ჰქვია ამ ტურფა ყვავილსა!

ი. მჭედლიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაისის ზეიმი.

ა ლამაზია დედა-ქალაქი, როდესაც იგი ცოცხალი გირლიანდებით არის მორთული! აგერ ცოცხალ ყვავილთა გრესილმა თავი შემოჰყო ერთი ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტზე და მოდის ყაყანით, ისე მოდის, გეგონებათ—მთელი საქართველოს ყვავილები მინდორ-ველიდან აურილან და თბილისის მოსაქარგავად შემოსულანო. დიდი სახლები, დარბაზები, პატარა ეზოები, დუქნები და სარდაფები, ერთი სიტყვით, ოთველი კუთხე და კუნჭული, როგორც შემოვარდნილ ნიაღვარით, ისე ივსება მათი წკრიალა ყაყანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი მაშინ მზის ამოსვლის ჟამს აყივილხივებული შვენიერ ტუესა ჰგავს. ახლა შეხედეთ იმათ თავებს!

ისეთი გრძელი, დაუსრულებელი გიშრის კრიალოსანი გაჭიმულა, რომ საზღვარი არ უჩანს.

მოდიან და ჰაწია სახეებით მოაშუქებენ. ეოველ მათ მიმოხვრაში, ეოველ ნაბიჯის გადადგმაზე და ტანისამოსის რხევაშიაც კი უდიდესი ბედნიერება გამოიხატება.

თორემ აბა თვალებში ჩააცქერდით: მზე ლივლივებს, მზე ბანაობს მათ შავ თვალთა ბაიებში.

მართლაც სიხარულით თვალები ისე უბრწყინავთ, რომ ბნელი ღამე იეოს, მგლებივით ნათელს გამოსცემდენ.

ოხ, ოხ, ოხ... რამდენი ბაირაღია, რამდენი!!! ისინი ისე ფრიალობენ, მოუსვენართა ხელში ისეთნაირად ირხევიან, გეგონებათ—მინდვრის ევავილებს ნაზი ჰეჰელები დაჰქათქათებენო.

— ერთი, ორი, სამი!..—ისმის მწკვრივის გვერდით უფროსი მოწაფის ხმა და მაშინ უნდა ნახოთ მათი გამომეტეველება : ათონის ახალგაზრდა კვიპაროსებივით თავებს ზეცისკენ აღმართავენ და ისე გამოიჭიმებიან, რომ შუბლსა და სახის ეოველ ნაკვთზე ძარღვები ასქდებათ. მთელი ქვეყანა იმ წამს იმათია, მთელი კაცობრიობის სიამაყე იმათ სახეზე აღიბეჭდება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ისინი რევოლიუციონერები არიან, იმათ გულით მოაქვთ მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ახალი ცხოვრება და ახალი სული. მაგრამ შეხედეთ სულ ჰაწიებს, ერთი ციცქნა ცელქ ბიჭუნებს! ისინი ხომ ვერ მოითმენენ ერთფეროვნებას, ისინი

ხომ ვერცხლის წყალივით მუდამ თრთოლავენ და მოძრაობაში არიან... აი აქაც... რაში ენაღვლებათ თქვენი წესი, დაწყობილება! აქეთ-იქიდან უუმბარასავით გამოხტებიან, კრავებივით ერთი-ორს შეიკუნტრუშებენ და ისევ მწკრივში ჩადგებიან...

წადით ახლა თქვენ და ვარსკვლავთ უძრახეთ—გაჩერდით და ნუ ციმციმებთო!

მართალია, ისინი კუნტრუშობენ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეს იმათი დღეა, ისინი რევოლიუციონერები არიან და რევოლიუციის დღესასწაულის კადასახდელად მოდიან.

ცქვიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვანო და პირველი მაისი ქალაქში.

ვანო ქალაქში არასოდეს არ ყოფილა. არ ყოფილა, მაგრამ უნახავს კი. ვანო სოფელ დიდებიდან არის და მაძას ხშირად ამოჰყოლია კოჯორში. სწორედ კოჯრის მთიდან დაუნახავს ვანოს ქალაქი.

შორს, შორს, სულ ძირს ნაირფერიანი ბუსუსებია მიწაზე ამოსული; ყველა ერთად არის მოქუჩებული. ერთ შესედვაზე გეგონება—ფართო და ბრტყელ-ქუდიანი სოკოაო. აი ისეთი, რომელიც ხშირად უნახავს ტყეში ვანოს, ფერებშერეული, კარგისა კი არა, და ქუდიც კიდევ მთელი კი არ ხურავს, არამედ გაჩეხილი. ამ ქალაქის ქუდიც გა-

ჩეხილივითაა: შუაში ნამგლის მზგავსი ზოლი აქვს დატანებული, რომელიც მზიან დღეში ოქროსფერ კიაფობს. ერთხელ მისმა კიაფმა თვალიც კი მოსჭრა ვანოს კოჯორში, ამ სიშორეზე.—ისე ელვარებს, როგორც ვანოს მამის, ზაქროს, ნამგალი, როცა იგი მზეზე ძევს. სწორედ ისე.

— ეს დიდი მდინარე მტკვარი არისო,—უთქვამს მამას ვანოსათვის.

ეველა ამბობს, ქალაქი დიდიაო. დიდის ამბით მიდიან ხოლმე იქ სოფლიდან. ემზადებიან კიდევაც წინა დღით. ვანოს კი ჰგონია, რომ სოფელი წავკისი, აი მთის ძირში, სულ ახლოს რომ არის, გაცილებით უფრო დიდია იმ ქალაქზე. თვითონაც მალე ნახავს ამ ქალაქს ვანო, და მაშინ ნამდვილად ეცოდინება მისი ამბავი.—მამა დაჰპირდა, მაწონს გასაყიდად წავიღებ და შენც წაგიყვანო.

* *
*

ეს იყო პირველ მაისს. დილა-ადრიან ზაქრო, ვანო და მაწვნის ქილებიანი ხურჯინით დატვირთული ვირი თავზე წამოადგნენ ქალაქს. კოჯრის გზის უკანასკნელი დაღმართი და დარჩენოდათ გადასალევი. წინ ვირი, უკან მამა და შვილი.

ვანო გულჩათხრობილია. არაფერს ამბობს. ხშირად კი შეხედავს მამას თვალებში: მამაც ჩემსავით თუ არის გაკვირვებულიო, ფიქრობს გულში. ასე კი ფიქრობს ვანო იმიტომ, რომ წინანდელი აზრი შეეცვალა ქალაქზე, რომელიც ახლა უფრო სხვანაირად ეჩვენება.

არა, ქალაქი სოკოს არ ჰგავებია. ახლა რომ ამ მაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობიდან ხედავს ვანო, ეს სხვაა, და კოჯრიდან რომ ხედავდა, ის კიდევ სხვა. სად წავკისი, და სად ეს.

კარგად შენიშნა ვანომ: რამდენადაც უახლოვდებოდა, იმდენადვე დიდდებოდა და დიდდებოდა ქალაქი. საკვირველია პირდაპირ!

ბებიას რომ დევების ციხე-კოშკებსა და სასახლეებზე უამბია, სწორედ იმასა ჰგავს. იქნება მართლა დევებიც კი ცხოვრობენ იქ.—ვანო ამას თავისათვის ფიქრობს.

„ეი, ვინა ხარ, რომ ჩემი ციხის კარზე მოსულხარ?“ ასე დაუძახებენ ხოლმე დევები მოსულს. ბებიას უთქვამს, თუ არ იყარგა მოსულმა, დევები შესჭამენო. მამას კი უჭირავს დიდი ჯოხი, მაგრამ ვანოს სახრე ფინია ძაღლსაც კი ვერ მოიგერიებს.

მიჰყვება ვანო მამას, მაგრამ ფიქრები ეშლება. ცოტა არ იყოს, აღელვებულია. თუმცა კი არ ეშინია. უშიშარი ბავშია ვანო და სახრით ხელში ბევრგან ყოფილა მარტო. ერთხელ გზაც კი დაებნა, მაგრამ მაინც არ შეშინებია რა თქმა უნდა, საშიში აქაც არაფერია, მაგრამ ეს ქალაქი სულ არა ჰგავს სოფელს.

უცებ, აი, სწორედ უცებ ვანო გაკვირვებით შედგა,—მის წინ ქალაქი აღარ იყო. ეს მოხდა სრულიად მოულოდნელად: დაამთავრეს ბილიკი და დაეშვენ ფართო გზაზე და, როცა ვანომ ამ ფართო გზიდან გახედა ქალაქს, თვალში მოსვდა რამდენიმე დიდი სახლი, და ქალაქი კი ვერ დაინახა. ამ დროს მამამაც უთხრა:

— მივედით კიდეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს არის ქალაქი?

რა უცნაურია! სანამ მოდიოდა ვანო, ქალაქს სულ ხედავდა, თვალწინ ჰქონდა გადაშლილი. ახლა მოვიდა და ქალაქი კი გაქრა!

მაშ ეს რა ეოფილა? ახლა კარგად ვერ მოიგონებს ვანო, თორემ ამის მზგავსი რაღაცა კი უამბია მისთვის ბებიას ზღაპარში. ბებიას ნაამბობი უთუოდ ეგელაფერი ძართალია.

— მაწონი!.. მაწონი!.. კარგი მაწონი!— დასჩხავლა უცებ ზაქრომ და ვირი ერთი სახლის კარზე მიაგდო.

— მაწონი... მაწონი მოიტანეს, დედა!—გაისმა აივანზე ჰატარა ბავშის გახარებული ხმა.

ამის გაგონებაზე ისე გაიღიმა ვანომ, თითქო დიდი კაცი ეოფილიეოს და ბავშის ხმის გაგონება სიამოვნებოდეს.

* *
*

დღეს ქალაქი წითლად იეო მორთული. ეველგან წითელი დროშა ფრიალობდა. ზოგგან—დიდი, ზოგგან—ჰატარა... ჰირველი მაისი იეო, მუშების დღესასწაული.

ზაქრომ სულ მალე გაჰყიდა მაწონი. უყიდა ვანოს თეთრი ჰური და მთავარი ქუჩისკენ გასწია. ხალხი ბლომად მოდიოდა აქეთკენ. ალბად სანახაობას რასმე მოელოდენ. ვანო გალურსული მისდევდა მამას.

მამა და შვილი ვირიანად დადგენ ერთი ქუჩის კუთხეში. ქუჩაში ზღვა ხალხი ირეოდა. არც თავი ჩანდა, არც დასასრული, იმდენი იეო. შუა ქუჩაში დარაზმული ხალხი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდა. წინ წითელი დროშები მოუძღოდათ. იუო სიმღერა. მუსიკაც ისმოდა.

ვანო დიდი ეურადღებით ათვალიერებდა ამ ხალხს, განსაკუთრებით მოსწონდა მას დიდრონი სურათებიანი დროშები. წითელი დროშა თავის სოფელშიაც ენახა ვანოს, მაგრამ ესენი უკეთესები იეკნენ, მორთულები, ხატიანები... აი, აი, ერთი დიდი ხატიცა, რომელიც მოწიწებით მოჭქონდათ ერთი ჯგუფის წინ.

— მამა, სედავ, ხატს მოასვენებენ!—მიაქცია ვანომ ამ გარემოებას მამის ეურადღება.

— ხატი რომელია?.. ე ხატი კი არ არის!.. ამათი მეთაურია... დიდი კაცი!—უპასუხა გაცინებით ზაქრომ შვილს. ცოტა ხანს ძერმე დაფიქრებულად უთხრა:

—ეს ახალი მოთავეების სურათებია, შვილო!

ამ დროს გაისმა მჭექარე: „ერთი! ორი! ერთი! ორი!“ ამის გაგონებაზე წინ წამოდგა ვანო. ხალხმაც წინ წაიწია. და გამოჩნდენ ერთნაირად მორთული ვაჟები, წითელ ზოლებიანები, ოთხ-ოთხად დარაზმული. მათ კიდევ მორთული ჰატარა ქალები მისდევდენ დარაზმულადვე. ვანოს ძლიერ გაუხარდა ამათი ნახვა. ერთხელ ესენი კიკეთში იეკნენ და სოფ. დიდების ბავშები მათ სანახავად ეველანი კიკეთში წამოვიდენ. ნეტავი ვანოც გარია მათში! რა ხალისით გაჭეეებოდა!

— ჭე, შენისთანებიც რა ამბავში არიან! ააჭრელეს აქაურობა! გინდა, მიჭეევი!—უთხრა ზაქრომ გახარებულ შვილს.

ამაზე ვანომ ქვემოდან ისე ახედა მამას და გაუღიმა, რომ მიახვედრა: აქაური არა ვარ და აბა როგორ შემიძლია მიეეეო!

არ გასულა ამას შემდეგ დიდი ხანი, რომ ხალხში ჩოჩქოლი ატეხა. გაისმა: მოდიან, მოდიანო. გაიხედეს ყველანი გამოჩნდენ ეკვაკილებითა და წითელი დროშებით მორთული ავტომობილები. ავტომობილი ბევრი უნახავს ვანოს. მაგრამ ამათ უკან რომ მოგორავენ, ესენი კი არაოდეს არ უნახავს. თავდახურულებია. კაცები ზედ არ სხედან, ეოველი კუთხიდან თოფების დიდრონი ლულები მოჩანს.

— ჰეე, შეხედე, თოფიანი მაშინები... საომარია!— შიშდაკრული ხმით ჩაილაპარაკა ზაქრომ. ვანოს განცვიფრებას ამის გამო ჯერ კიდევ არ გაევლო, რომ რაღაც საშინელი გრუხუნი გაისმა და ხალხმაც სული განაბა.

— ოოო!—ძალიან გაიკვირვა ვიდამაც.

მოდის რაღაცა შავი. შემუწული ჰირი წინ გაუშვერია და ფეხები მოუურია. მოდის ცურვით. გველვეშაპსა ჰგავს. დიდი კიბის მსგავსი რკინის ჯაჭვები გადაუწევია მხრებზე და ასრიალებს. მას კიდევ მეორე მოსდევს, მესამე...

შეშინებულმა ვანომ მამას შეხედა. მამას კი ხელის გული თვალებზე ჩამოუფარებია და სულმოუთქმელი უმზერს ამ საშინელებას. ვანომ შენიშნა, რომ მასაც შეშინებული სახე ჰქონდა.

— რა არის, მამა, ეს?

— არ ვიცი...—მძიმედ უპასუხა ზაქრომ შვილს.

ვანო გრძნობდა, რომ ეველა შეშინებული იყო ვინც იქ იდგა.

— ეს ტანკებია... ტანკები!—სთქვა ერთმა ხალხში.

ამ სიტყვის გულში გამეორებაც ვერ მოასწრო ვანომ, რომ ახლა მოულოდნელად შეანძრია ჰაერი საშინელმა „ფრფრ“

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ახმაურებულმა ხალ-ხმაც აქეთ-იქით გაიწია. ზაქრომ და ვანომ ერთ-დროულად აიხედეს მაღ-ლა.—უშველებელმა კა-ლიას მაგვარმა რაღაცაც ჭექა-ქუხილით გადაუარა ხალხს თავზე. კინაღამ მოსდვა ფრთები.

— ჰო, ჰაერში რომ მაღლა დაფრინავს, ისაა, არ შეშინდე, ვა-ნო...—ძლივს მოასწრო ზაქრომ ამის თქმა, რომ ამოძრავებუ-ლი, აჩოჩქოლებული ხალხის დენაში მოჰყვა და ვანოს თვალწინ დაიკარგა. მაყურებელთა ერ-თი ჯგუფი მეორეს მოაწვა. აირია ხალხი. ვანოც ხან აქეთ გააქანეს, ხან იქით.

— მამა!—ერთი დაი-მახა ვანომ, მაგრამ მამა არსად იყო უკან დაიხია, სადაც ხალხი ნაკლებად იყო. გაიხედ-გამოიხედა:— მამა აღარსად არ არის. თავში გაუელვა: მამა უთუ-ოდ იმ რაღაცაც მოიტაცა მაშინ, როცა თავზე გადუ-ფრინა.

— მოიტაცა ტიალმა!

წაიბუტბუტა და სისხლი და ცრემლი ერთად ჩამოსდა თვალებზე აიხედა მაღლა, ჭაერში. უკვე აღარაფერი არ ჩნდა. რა ქნას? გარშემო სულ უცხო ხალხი ახვევია. შიშისაგან გულთან ტკივილი იგრძნო. სახრეს მაგრა ჩასჭიდა ხელი. ელვის სისწრაფით მოაგონდა სოფელი, სახლი, დედა, ბებია... თავში გამოესახა: „მეც მომიტაცებსო“, და მომსხო-მომსხო ცრემლი მოსდა თვალებზე.

უცებ თავის ვირს კუთხეში თვალი მოჰკრა. თვალები გაუბრწყინდა, შიშმა გადაურა, იმისკენ გაექანა და კისერზე გადაეხვია. იმ გრძნობამ, რომ იმოდენა უცნობ ხალხში მარტო აღარ იყო, მწუხარება შეუნელა და ვანო გაამხნევა.

— დევებმა მოიტაცეს მამა... ჩვენ ახლა მარტო ვართ!— ეუბნება იგი ვირს. გარშემო კი ღრიანცელია, გრუხუნი, ხრიალ-ფრიალი... ისმის მუსიკაც და სიმღერაც.

ვანო კი იმაზე ფიქრობს, თუ როგორ უშველოს თავს. ათასი ფიქრი მოსდის თავში და ხშირად შეხედავს ვირს. ვირი კი სრულიად დამშვიდებული დგას, თითქოს დარწმუნებული იყოს, რომ საფრთხე არავის მოელის და ეოველივე კეთილად დამთავრდება.

— შენ აქედან გამიყვანე, და მერე მე ვიცი... იცი, არაოდეს არ დაგარტყამ და არც დავარტყმევინებ სხვას შენთვის... ბებიას და დედას უნდა შევატყობინოთ მამის ამბავი...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნება ვანო ვირს და თვითონ სულ აქეთ აცქცქებს თვალებს, ვინძლო მამა გამოჩნდეს სადმეო.

მაგარი ბიჭია მაინც ვანო. სულ მარტო რომ იყო, ცოტა კი შეშინდა, მაგრამ ახლა უფრო მამის ამბავი აწუხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაზდეულად სულ ახლოს გაისმა მჭექარე ხმა:

— გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს! —

ხალხიც იმეორებს:

— გაუმარჯოს!. გაუმარჯოს!

და სწორედ იმ ადგილას, სადაც დაიკარგა, უცებ გამოჩნდა ზაქრო. მას თვალები ფართოდ ჰქონდა გაღებული და ისე იცქირებოდა ეოველი მხრით, თითქო თვალებით აჰირებდა ქვეყნის ჩანთქმას. ვანომ პირველად მოჰკრა მამას თვალი. იგრძნო, რომ იგი მას ეძებდა.

— მამა, ჩვენ აქა ვართ! — დაუძახა ვანომ ზაქროს და მისკენ გამოსწია. თან ფიქრობდა, მამას გაუმარჯვია, დაუმარცხებია ის ტიალიო.

ზაქრო მივარდა ვანოს. ხელში აიეკვანა და გულში ჩაიხუტა.

— ჩვენ არ შეგვშინებია. მე და ვირი ერთად ვიეავით! — ახარა მამას ვანომ.

* *
*

ზაქროს და ვანოს ქალაქში ბევრი არ დაუეოვნებიათ. როცა კოჯრის გზის პირველი აღმართი აიარეს და სოფლის გზას დაადგენ, ვანომ დიდი შვება იგრძნო, საამო რამ თავისუფლება.

ჰო, რამდენ რას უამბობს იგი დედასა და ბებიას!

— როგორი ეოფილა ეს ქალაქი, მამა!!

— სულ ეგეთი როდია ი ტიალი!.. დღეს პირველი მაისის დღესასწაული იეო, შვილო, და ქალაქიც ასე უქმობდა მას...

მაგრამ ვანო თავისებურად ფიქრობდა კიდევ და ემზადებოდა დიდი ამბების საამბობად, როცა შინ მივიდოდა...

ლეო ქიაჩელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დ ი ლ ა.

ცისფერ სიცილით, ციმციმ-ცქრიალით
გადაიშლება მაისის დილა;
ცისკარს შესცინებს ია ტრფიალით,
გაიკისკასებს მინდვრად ბილილა.

ვარდები ბალნარს ააფერადებს,
ფრინველთ სიმღერა დაატკბობს ჭალებს,
მზე სიუვარულით ამობრწყინდება.
გააცხოველებს, ერმაო, შენს თვალებს.

მიმქრალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საზეიმო თვე.

ესი საუკეთესო თვეა გაზაფხულისა.

ყველას ახარებს და უყვარს მაისი.

ბუნება ამ თვეში აღწევს უმწვერვალეს სიმშვენიერეს:

ათასნაირ ყაყაჩოებით ამოქარგული მწვანე მინდორ-ველები, აქოჩრილი ტყეები, გრილი ჭალები მოფენილია ჰეჰელებით, ჭიაღუებით და ცხოველებით.

მთელ ბუნებას ავსებს ფრთოსანთა მხიარული ჭიკჭიკ-გალობა, სათამაშოდ გამოფენილ ბავშვების ჟრიამული, აბიბინებულ ეანებში მუშათა იმედიანი, ხალისიანი სიმღერა და კორდებზე მწყემსების სალამურის წკრიალა ხმა...

მზე სიცილით დასცქერის ყველას და ყველაფერს ზეიდან და უტევსა და მეტეველ ბუნებას აერთებს ერთ ხმაურად, ერთ სიცოცხლედ.

ადამიანი ამ თვეში უფრო ცხოველად გრძნობს, რომ ის ნაწილია ბუნებისა, და მასაც განსაკუთრებით აღტაცებით უყვარს ყველა და ყველაფერი და განსაკუთრებით სურს გამოხატოს თავის სიხარული.

ამიტომ არის, რომ მაისი არის დღესასწაულებისა და ზეიმის თვე.

მაისში მართავდენ გაზაფხილის დღესასწაულებს ძველი ხალხები, მაისში მართავენ თავის დიდ, მონობისგან განთავისუფლების დღესასწაულს მთელი ქვეყნის მუშათა კავშირები.

მაისში იმართება მრავალ ქვეყნის ბავშთა ხვა და ხვა დღესასწაული. ხვათა შორის 5 მაისს მართავენ ბევრი ქვეყნის ბავშები ისეთ შვენიერ საყვარულისა და თავისუფლების დღესასწაულს, როგორიც „მაისის კავშირია“. *)

ბავშები ყველგან და ყოველთვის დღესასწაულებს მართავენ დიდი ზეიმით: აწყობენ მსვლელობას, მიტინგებს, საზეიმო კრებებს. ყველგან ეამოდიან სხვადასხვა შესაფერი ლოზუნგებით, ბაირაღებით, და განსაკუთრებული ნიშნებით ქუდებზე ან გულზე.

ბავშებს უყვართ მაისი, უყვართ თავისი დღესასწაული. მთელი წლის განმავლობაში სიხარულით ელიან მას და ამ დღისათვის ემზადებიან.

---

*) „მაისის კავშირის“ შესახებ იბეჭდებოდა „ნაკადულში“, 1913 წ. № 20. მცირე-წლოვანთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ქვეყნის ბავშებს აქვთ განსაკუთრებული თავისი დღესასწაული, თავისი გაზაფხულის და სიყვარულის დღე.

აქამდის არ ჰქონდათ ამისთანა განსაკუთრებული დღე ჩვენს ქართველ ბავშებს, მაგრამ წრეულს ბავშების მეგობრებმა განიზრახეს და სურთ დააწესონ საქართველოშიაც მშვენიერი, ლამაზი, სიყვარულისა და სიხარულის დღე ბავშებისათვის.

ეს დღე მთელ საქართველოში გამოცხადდება ბავშების დღესასწაულად.

ეს დღე იქნება 20 მაისი და დაერქმევა ბავშების საზეიმო დღე.

მაშ გაუმარჯოს ბავშების დღესასწაულს, 20 მაისს!

გაუმარჯოს ბავშთა ზეიმს!

ნინო ნაკაშიძე.

პირველი მაისი.

სიტყვ. ქუჩიშვილისა. მუსიკა გ. მირზოიანისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ-მმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემულ საყმაწვილო წიგნების სია.

		ფასი
1—2.	„ნაკადული“ 1921 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5 თითო წიგნი	10 კ.
6—7.	„ნაკადული“ 1922 წ. №№ 1—2, 3—4	10 „
8.	„ჯეჯილი“ 1921 წ. № 1	15 „
9.	„ჯეჯილი“ 1922 წ. № 1—2—3	25 „
10.	„ნორჩი ძალა“,—კრებული	10 „
11.	„სამი ამბავი“,—შიო მღვიმელისა	6 „
12.	„კოკროჭინა“,—დ. დონდუასი	6 „
13.	„ბელა ბეკეკა“ „ „	6 „
14.	„შემოდგომა“, ფერად სურათებიანი წიგნი	40 „
15.	„დედაბერი, ტურა და მელია კუდი გძელია“ ფერად სურათებიანი წიგნი	30 „
16.	„ბავშებს“,—გ. ქუჩიშვილისა	12 „
17.	„ტყის ზღაპარი“,—მამინ სიბირიაკისა თარგმანი ლ. იმნაძისა	12 „
18.	„ტყის სურათები“,—შიო მღვიმელისა	15 „
19.	„ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	20 „
20.	„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“	2 „
21.	„ქართული მოძრავი თამაშობანი“ შედგენილი მერკვილაძის მიერ	40 „
22.	„ტროადის ომი“,—ალ. მიქაბერიძისა	40 „
23.	„იგავ-არაკნი“,—ალ. მირიანაშვილისა	20 „
24.	„საბავშო პიესათა კრებული“	45 „
25.	„ივანე სულელი“,—ზღაპარი. ლ. ტოლსტოისა თარგმანი ი. ნ—ისა	10 „
26.	„ლურჯი ფრინველი“	35 „
27.	„ნაკადული“ 1923 წ. თითო №	15 „
28.	„ჯეჯილი“ თითო წიგნი	25 „
29.	„ზამთარი“—ფერადი სურათებით	30 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

1923 წ.

მიიღება ხელის მოწერა საუმაწვილო დასურათებულ ჟურნალებზე:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XIX წ.

გამოდის ეოველთვიურად.

მოზრდილ. „ჯეჯილი“ მე-XXXIV წ.

გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალი გამოდის განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო სამსატვრო სექციის ხელმძღვანელობით.

ხელის მოწერა მიიღება თვიურად.

ცალკე „ჯეჯილი“ 25 კ.
„ „ნაკადული“ 15 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მომწერის ხარჯზე.

მისამართი: თბილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, № 5, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია.
რედაქტორი — **სარედაქციო კოლეგია.**

მთავსამლიტგამ № 267 ტირაჟი 3000.